კვირა, 15 თებერვალი 1915 წ. ფასი 10 კაპ.

მათრახი

იუმორისტ. ჟურნალი

№ 3

ხელის-მოწერა არ მიიღება. მასალები გამოიგზავნება ამ ადრესით: Тифлисъ, Типографія Шрома, Теофилу Болквадзе

13328

სამიკიტნოეზის დაკეტვა თბილისში

მიკიტნეზის მოთქმა.

— ვაი ჩვენო დუქნებო,
კარებ დალუქულებო,
ვაი ჩვენო ტიკებო,
ვაი ჩვენო ფულებო!..

ვაი ჩვენო მუშტრებო,
ჩვენთან დაჩვეულებო,
წინად გამობრუჟულნო
ეხლა დამხეულებო.

— ჩვენ მოგებას ველოდით.
ეს რა მეხი დაგვეცა:
„კუხნა“ სულ გაგვიცოდა,
მზარეული გაგვექცა!
დახლი გამოგვეცალა
და ოჯახი დაგვექცა!..
ვინ კითხულობს ჩვენს ამბავს,
რომ პასუხი გაგვეცა!..

—

— თავი ფაშად მოგვქონდა,
ვითვლებოდით — „აღებად“,
დღეს დუქანიც არა მაქვს
დასაკეტ-გასაღებად!..
ვირთხები ტიკს ეწევა
სოროში წასაღებად
და „კუხნა“ გაუხდიათ
სასეირნო ბაღებად!..

—

— ცოლები დაგვიგიჟდა —
სულ მოდნათა იცვამენ,
წელზე მაგრა იჭერენ,
პირზე ბლომა ისვამენ!
მათ ფეხებზე ჰკიდიათ
ეს ცუდი დრო, „ვაინა“,
რასაც მოგვთხოვს, „ბერეგის“
თუ არ მიგვატაინა.

—

ღამ-ღამობით კლუბებში
გასართობათ დადიან,
იქ ლოტოს თამაშობენ,
მალაყებს გადადიან!
ნაშვალამევს ვახშამსაც
მიირთმევენ მადიან
და მერე ღმერთმან იცის
ვისთან რასა სჩადიან.

—

— ქვეყანა სულ გაფუჭდა,
ვერას ვხედავთ ჭკვიანურს,
მუცელი დაგვეჩუტა
და გვიმღერის ჭიანურს!..
ეჰ, დროებავ წამხდარო,
შენ დაგიდგეს თვალია;
მიკიტნებსა შიოდეს,
განა სამართალია?!.

მა — ნი.

აკაკის ცხედართან*)

„ნეტარ არს ერი იგი, რომელმან იცის
გალობა შენი“. (ფსალ. 88—14)

ცა-ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო,
ქართველთ უიღბლო მხარეო,
ძაძა-ფლასითა მოირთე,
იგლოვე, იმწუხარეო,
დაღვარე ცრემლი ნაკადათ,
ცრემლი რფელი და ცხარეო...
უბედო ბედმა ნაღველი
სხვა არ გაკმარა მწარეო,
შვილი მოგტაცა უბადლო,
შვენება შინ და გარეო...
აღარ გყავს შენი აკაკი,
შენი მზე, შენი მთვარეო,
ლხინში სუფრულის მღერალი
და ჭირში მგლოვიარეო,
ვარსკვლავი შენის დიდების,
მოკაშკაშ-მოელვარეო.

—

ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
თალხით მოსილო მხარეო.
სამძიმრის შემდეგ, ნუგეშიც
ისმინე შეიწყნარეო!
ნუ დაეცემი სულითა,
ქედი ნუ მოიხარეო,
ჭრილობას კვნესა არ შველის,
სხვა რიგათ ემკურნალეო.
აკაკის მცნებას მისდიე,
მის გრძნობას ეზიარეო,
მის ცრემლით ნალბობ გზაზედა
წაღმართად წაიარეო,
მტერს მტრულად დახვდი, მოყვარეს
მოყვრულათ ეტრფიალეო,
მჩაგვრელთ გულ-და გულ ეკვეთე,
ჩაგრულთ მწედ აეფარეო,
ძმობა-ერთობის დროშის ქვეშ
შვილთ თავი მოუყარეო,
სიყვარულის და სიმართლის
ლამპარი წაიმძღვარეო.

—

ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
გულდაკოდილო მხარეო,

*) ეს მზვენიერ-გრძნობიერი ლექსი დაბეჭდილია ქუთათურ ორ-კვირეულ ჟურნალ „განთიადში“ (№ 3), მაგრამ რადგანაც „განთიადს“ ყავს მკითხველთა განზაზღვრული რიცხვი (სულ ხუთი: რედაქტორი, ასოთ-ამწყობი, კორექტორი, ცენზორი და თვით ავტორი) ამიტომაც ჩვენ ეს ლექსი გადმოვბეჭდეთ და ბით მეტ მკითხველს გავაცანით.

რედ.

შეიტკბე შენი პირმშო ძე,
დროებით ესამარეო!
ღმერთი დიდია, ჭრილობა
გაგიმთელდება ადრეო,
ჯოჯოხეთისა ნგრევაში
გახდები მოზიარეო...
და შენთან ერთად აღსდგება
აკაკიც პირმცინარეო.
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
არწივთა მზღელო მხარეო!

ვერმიცანაშვილი

დიდებულ მგოსნის აკაკის ხსოვნას.

მზე ჩაესვენა, ჩაჭრა ვარსკვლავი,
დადუმდა ენა, მკვეთრი, ძლიერი,
დადუმდა ჩანგი, მაშვრალთ მოსარჩლე;
დაობლდა კვალად ქართველი ერი.

—

დიდო მგოსანო, ტანჯულთ იმედო,
უბადლო სხივო, ბერო ჭაღარა,
გმირებს უხმობდი ჩაგრულთა მხსნელად
მტრებს ძილს უფრთხობდა შენი ნაღარა.

—

ბრძოლისა ცეცხლში შენ გვიწრთე გული
და დროშით ხელში გვიძღოდი წინა,
გმირო სარდალო, შენ უკვდავი ხარ,
ხალხისა გულში გაქვს მარად ბინა.

—

მუდამ იქნება ანდერძი შენი
მომავალთ შორის მტკიცედ დაცული,
არ გადასცდება გზას შენგნით რჩეულთ
შენი ლაშქარი მაშვრალ-ჩაგრული.

—

„ქაჯეთის ციხეს“, სად იმყოფება
„ნესტან-დარეჯან“ მიჯნური შენი,
ამა ლაშქრისა მხნე, მძლავრი ხელით
შეირყევიან ციხისა ბჭენი.

—

მყის დაითრგუნვის ქაჯთა ლაშქარი,
„ნესტან-დარეჯან“ აღსდგება მკვდრეთით,
გამარჯვებისა ჰანგი მთელ არეს
ყურს სწვდება ირგვლივ ზღვით და ხმელეთით.

—

ტურფა ბალნარნი აყვავდებიან
და გადიშლება ათასფრად ველი,
საგაზაფხულო ჭიკჭიკს დაიწყებს
მერცხალი ლაღი ტურფა ფრინველი.

—

ნიავი წყნარი გულს ჩაუკოცნის
ყვავილს მშვენიერს, იას მკერდ ღიას.
ბულბულიც დასტვენს, საფლავს ჩაგძახებს
შენსა საყვარელს ჰანგს „ტია-ტიას“.

—

მიჯნურიც საფლავს შეგიმკობს ვარდით,
ცრემლსა დაგაფრქვევს მგზნებარე თვალი:
„არ ვიყავ მკვდარი, მხოლოდ მეძინა“—
ის ჩამოგძახებს თავისუფალი.

გოგია.

არ მომკვდარა

(აკაკის ხსოვნას)

არ მომკვდარა! არც მოკვდება! არა! არა!
ძირს გოდება! ცრემლთა ფრქვევა კმარა! კმარა!
განა სიკვდილს ძალა შესწევს მოგვტაცოს ის,
ვინც აანთო ხალხში ცეცხლი სიყვარულის?
არა! არა! ის კვლავ ცოცხლობს,—არ მომკვდარა'
სიკვდილი ხომ მის წინაშე არს პატარა?
მაშ ნუ ვტირით! შორს გლოვის ხმა! კმარა! კმარა!
ნუ ვაფრქვევთ ცრემლს! ისეც ბევრი დაიღვარა!
არ მომკვდარა! არც მოკვდება, არა, არა!
მან ხომ ხალხში უკვდავება დაიმყარა?
მაშ ნუ მოვთქვამთ შორს გოდება, კმარა! კმარა!
და ვიწამოთ, რომ ის ცოცხლობს, არ მომკვდარა!

ს. გურული.

აკაკის ხსოვნას.

გაწყდა სიმი ჩონგურისა
და მიყუჩდა მწყობრი ჟღერა,
აღარ ისმის აღმზრდელ მამის —
ტკბილი ნანა და სიმღერა.
წმინდა გრძნობით გამსჭვალულმა,
შეასრულა თვისი ვალი,
დაჩაგრულ ერს, ბნელეთში მყოფს
გაუკაფა გზა და კვალი...
მადლიანი კალმის წვერით
შესძრა ციხე მიუვალი...
ჩვენ ვერ შევსძლებთ, მის ღვაწლს მხოლოდ
დაეფასებს მომავალი.

რ. ჯიბილ.

სულის ცრემლები

ძველითგანვე ეს ქვეყანა უკულმართად მოწყობილა, —
ბედნიერი ბოლომდისინ არვინ არის, არც ყოფილა;
შვება-ლხენას კვნესა მოსდევს; რაც აშენდა — დამხობილა
და სიცოცხლის სარეცელში შავ სიკვდილი ჩაწოლილა...
ვისაც გუშინ ნეტარებით უფეთქავდა მკერდ ქვეშ გული,
სამოთხეში ატარებდა ნაზი ტრფობა, სიყვარული;
ხვალ ძიმწარეთ შეეცვლება სიცოცხლე და სიხარული
და გულს შესჭამს ცრუ იმედით ანაჩენი ნაღველ წყლული...

— —

გაზაფხულზე მზის სხივებით ია ხარობს, ვარდი სტკბება,
თავს ბულბული დასტრიალებს. ჰანგებს უწნავს, ეშხით თვრება,
„ვერხვის ძირას“ ქალწული ზის, ტოლს იგონებს, ცრემლათ დნება, —
მგოსანს სატრფოს დაშორებით სევდა ბურავს, გული სწყდება...

— —

ზამთარია. არე-მარეს სუსხი აზრობს, სუსხი ჰყინავს.
ბუჩქის ძირას ტურფა ია მიმალულა, ტკბილათ სძინავს;
ვარდს სიზმარში მტკიცედ სჯერა, რომ ბულბული არ. გასწირავს, —
არ იგონებს მგოსანს სატრფო, მტრისა ტყვიით განაგმირავს.

— —

ჰორიზონტი შეიღება, გადაეჭდო წითელ სვეტი,
ცასა ბურავს სისხლის ორთქლი ძირს მიწიდან ანასხლეტი.
აქ მოგროვდა ბოროტება ჯოჯოხეთით მონახვეტი
და აღმოხდა დედა-მიწას კვნესა გულით მონაწყვეტი.
დღეს ქვეყნისა უკულმართად გადაბრუნდა ყოფნის ჩარხი. —
ბევრს არსებას გაეთხარა შავ უფსკრულის შავი არხი. —
მომავალის იმედები გულშივ დარჩა ჩანამარხი
და აღსრულდა საუკუნით ტარტაროზის ნაკარნახი...

— —

სისხლით ირწყვის მიდორ-ველი, ჩამობნელდა არე ცისა;
დაშრა შვების ნაკადული, — ჩაქრა მთვარე, სხივი მზისა:
შავს ბურუსში გაეხვია წმიდა ჯვარი, სახე ღვთისა. —
ვინ თხოულობს და ან რისთვის ამდენ მსხვერპლსა შესაწირსა?
ბოლო არ სჩანს, სამსხვერპლოზე კვლავ პრიალებს ცეცხლის ალი,
სტირს სამყარო... ბუნებამა მოიხვია გლოვის შალი, —
სიკვდილს ცელი აულესავს, ჯერ ბევრი აქვს მოსამკალი. —
არვინ უწყის სამერმისოთ რას გვიმზადებს მომავალი.
სტირის მდელო სისხლის ცრემლით, კვნესის ველი, სტკივა გული
და იმედსა უკურნები ასჩენია ნაღველ — წყლული.
ტყეს ფოთოლი შამოეცრცვნა, როდის მოვა გაზაფხული,
რომ გამთელდეს კვლავ იარა, გულმა იგრძნოს სიხარული?..

— —

მკის სიკვდილი, მოდის სისხლი, ჩამობნელდა არე ცისა,
დაშრა შვების ნაკადული, ჩაქრა მთვარე, სხივი მზისა;
შავს ბურუსში გაეხვია მადლიანი სახე ღვთისა. —
ვერვინ ახსნას საიდუმლო მსოფლიოსი სავალ გზისა.

გ. ლადოშვილი.

ორფეხა ობობები.

(კაცი-ყლაპიები).

(შემდეგი. იხ. „მათრახი“ № 2)

წასული კვირის ნომერში დაგპირდი, ჩემო მკითხველო, კიდევ მომეთხრო შენთვის „ყლაპია ობობების“ ოინი. და მით დამემტკიცებინა, თუ როგორ კარგავს თავის პირად ღირსებას მამრობითი სქესი ორფეხა ადამიანთ წოდებული მდედრობითი სქესთან შეუღლების შემდეგ. დიახ, ბევრი, ძლიერ ბევრი, ას ცოლიანში ოთხმოცდა ცხრამეტ ნახევარი ჯვრის წერის შემდეგ ის აღარ არის, რაც წინად იყო, რასაც ის წინად მრავალჟამიერს უმღერდა, ახლა სულთათანას უგალობს, რაც წინად ეუყვარდა, ახლა სძულს, რასაც წინად ეძებდა, ახლა გაურბის, რითაც წინად ამაყობდა, ახლა ირცხვის, ერთი სიტყვით, ცოლმან შთანთქა და გადაყლაპა ქმარი... და თუ ეს ქმარი მაინც ცოცხალია და დედამიწაზე ღოღავს, მხოლოთ იმისთვის, რომ აღასრულოს ბრძანება და ნება თვისი ცოლის, იმ ცოლის, რომლის შესახებაც ჯვრის წერის დროს ეკკლესიამ პავლე მოციქულის პირით უბრძანა: „ცოლნი დაემორჩილენით თვისთა ქმართა, ვითარცა ქრისტე ეკკლესიასა, და ცოლსა მას რათა ეშინოდეს ქმრისა მის“.

არც ერთ „მოდისტკა“ ქალს არ შეუძლია ისე ადრე და კარგათ კაბის გადაკეთება, როგორც ეს ბრძანება გადააკეთეს ცოლებმა, შეაბრუნეს კეხი და „ყველა ქმარი მორჩილ არს ცოლისა, ყველა ქმარსა ეშინის ცოლისა მის“. ღმერთმანი მწარეთ მეცინება, როცა მამრობითი სქესი საგარიოთ საყოყოჩოთ გამაცნობს ხოლმე თავის მდედრობითი სქესს და მეტყვის: „გთხოვთ იცნობდეთ, ეს ჩემი ცოლი გახლავსო“. ვიცი, ვიცი ძია ჯან, რომ შენ ხარ მისი ცოლი და ის შენი ქმარია, მაგრამ ნუ გეშინია, მარტო შენ არ ხარ ამისი მაგალითი. „მთლად ქვეყანა ასე ცხოვრობს, შენ ხომ არ ხარ გმირთა-გმირი“. სანუგეშოთ გეტყვი კიდევ ვაგალითს.

III

სანდრო ბალაძე.

რა კარგი ბიჭი იყო სანდრო ბალაძე, რა საამხანაგო, რა გულ კეთილი. ამხანაგ-მეგობრისათვის არაფერს ზოგავდა, უკანასკნელ გროშს გაგინაწილებდა. მართალია დიდი თანამდებობის კაცი არ იყო, მაგრამ თვეში შკიდ-რვა თუმანს კი შეარებდა ხელს, დიახ შეარებდა ხელს, თვარა მერე ეს ფულები მისი ღარიბი უადგილო ამხანაგებისა და მის მცირე-წლოვან, მოსწავლე ძმებსა და დებს უნაწილებდა, თითონ იოლათ გადიოდა, ხმელა პურს ჭამდა, ოღონდ მისიანები ყოლოდა მადლიერი. ყველას უყვარდა სანდრო, ამხანაგები სოციალისტს ეძახდენ... ბევრჯერ მის ამხანაგებს მისი საცვალიც კი წაუღიათ... სად სტოვებდა სანდრო თავის ოთახის გასაღებს თითქმის ყველა მისმა ამხანაგმა იცოდა, ბევრჯერ მოსულა სანდრო სახლში და აღარ დახვედრია სასადილოთ შომარაგებული საჭმელი, ბევრჯერ ღამით დაბრუნებულ სანდროს უნახავს თავის საწოლში ხვრინვა ამოშვებული ამხანაგი... სანდროს ეს არ წყინდა, პირიქით უხარიოდა, რომ მას შეძლება ქონდა მეგობრებისთვის პატივი ეცა, უპირთ, თორემ რომ არ უპირდეთ, იძულებულნი რომ არ იყვნენ, არც ჩემგან დეავალებენო...წარმოიდგინეთ, თუ ვინმე მადლობას ეტყოდა, სანდრო წითლდებოდა და პირიქით იხდიდა ბოდიშს შესაფერად ვერ გეცი პატივი, მოუწყობელი ვარ, დაულაგებელი, აი ცოლს როცა შეევირთავ, უკეთ მოვეწყობი და შემეძლება უკეთაც დაგხვდეო.

ხანუმა-ქაბატუების სიაში სანდროც იყო ჩაწერილი... შეაცდინეს სანდრო, ისარგებლეს მისი გულწრფელობით, შერთეს „ანგელოზი“ ქალი და დღეს...ნუღარ მკითხავთ თუ რა მოუვიდა სანდროს... „ანგელოზი ამხანაგის“ მეოხებით სანდრო სულ ჩამოშორდა თავის სიყრმის ამხანაგებს, არც ერთი ამხანაგი დღეს მის ოჯახში არ მიდის, რადგანაც ყველამ კარგათ იცის, რომ თუ სანდრომ ერთ ამხანაგს სახლში სადილი აჭამა სამაგიეროთ მისი „ორფეხა ობობა“ თვით სანდროს დაათმენინებს ოცდაათ სადილ-ვახშამს, გაუმწარებს სიცოცხლეს... განა მარტო ამხანაგ-მეგობრები ჩამოშორდა სანდროს? დიახაც არა! არამედ იმდენი ეცადა, იმდენი იხრიკა, ისეთი ქსელის ხლართები გაამ-გამოაბა სანდროს მეუღლემ, რომ თავის ქმარს ჩამოაშორა დები და ძმები, არც ერთი დღეს მის ოჯახში არ დადის. იხარშება სანდრო თავის გულში, ზოგჯერ კიდეც ტირის, მაგრამ რა ქნას, შებოჭილია მისი ნებასურვილი, გადაყლაპეს მისი პიროვნება, მისი „მე“. მისი ცოლი თავის ქმარის კომენდანტიც არის, გენერალ-გუბერნატორიც, სამხედრო ცენზორიც და სახელმწიფო ბიუჯეტის (შემოსავალ-გასავლის) კონტროლიც არის. თუ ცოლმა ნება არ დართო, ისე სანდრო ვერც სადმე წავა, ვერც სახლში ვინმეს მიიღებს, ვერც წერილს მისწერს ვინმეს და ვერც ერთი შაურით დაეხმარება...

აღარ არის სანდრო თავისიანებისათვის, მაგრამ სამაგიეროთ ცოლის ნათესავები თითო-ოროლა არასოდეს არ გამოწყდება მის ოჯახში.

ასეა საზოგადოთ ბევრი ქმრის ცხოვრება და ეს ჩემის აზრით იმის ბრალია, რომ საცოლო ბიჭებმა არ იციან ინდოელების ბრძნული და პრაქტიკული რჩევა. აი რა ჭეშმარიტებას გვირჩევენ ინდოელები: „ყველა დედა-კაცს აქვს თავის ქმრის ზურგზე შესადგამათ გამზადებულ ოცდა ოთხი კეხი. ამ კეხების ზურგზე შედგმას ქალი იწყებს ჯვრის წერის შემდეგ, მაგრამ ვინც ყოჩაღი ვაჟია, იმდენი უნდა შეყაროს ტლინკები, რომ დედაკაცმა ვერავითარი ხრიკით და ალერსით ვერ გაახერხოს, რომ ქმარს შეადგას ზურგზე ერთი კეხი. და თუ გაწყრა ღმერთი და ცოლმა მოასწრო ქმრის ზურგზე ერთი კეხის შედგმა, მშვიდობით მერმე. ქმრის ქმრობავ და მისო კაცობავ, ერთ კეხზე დედაკაცი მიაყოლებს მეორეს, მეორეს მესამეს და ამრიგად ყველა ოცდაოთხ კეხს შეადგამს ქმარს ზურგზე და ყველა კეხზე გადაელაჯება.. ამიტომაც გირჩევთ უცოლო ვაჟებო, იხტუნეთ, იუკმაკურეთ და ეცადეთ ევას „ნაშიერმა“ და მისმა სახიერმა არ შეგადგას ერთი კეხი, თორემ წასულია თქვენი საქმე და გადაყლაპულია თქვენი პიროვნება. ამასთან არ შეიძლება არ გირჩიოთ კიდევ, რომ გახსოვდეთ იმავე ინდოელების ანდაზა:

„დედა კაცის ორმოც რჩევაში ერთი. გონიერი რჩევა იქნება, მაგრამ თუ ეს ერთი დაუჯერე ოცდა ცხრა მეტსაც „კონტრაბანდათ“ შემოგაპარებს, და ამიტომ გირჩევ არც ეს ერთი გონიერი რჩევა დაუჯერო“.

არ გაწყენს თუ დაგიჯერებ დავით გურამიშვილის რჩევასაც:

„თუ ცოლს მიეცა ქმარზედ უფლება
ქმარი ლიაში უკუ ეფლება;
გაისვრება ლაფით
მის ჰუჰყს საპნის ქაფით
ველარავინ გარეცხს.

—

ანჩხლი და ურცხვი, თუ არის მრუში
ზედ შეგაჯდების თუ ხელით უშვი;
მოგიდებს მიზეზებს
შუმოგკრავს მით დეზებს
დაგიჩხვლეტს გვერდებს.

—

საითაც უნდა, იქითკენ წარებს
გადმოგიპირებს მათრახებს მწარებს
აგიდებს აღვირებს —
გატირებს, გაყვირებს
ისე გატარებს.

—

უმჯობესი არს ლომ-ვეშაპთანა,
ვიდრე ბოროტსა დედაკაცთანა...

. . . . . .

პიტნა.

სახელდახელო.

ომიანობის გამო თბილისის საბჭოს ხმოსნებს დიდი საქმე გამოუჩნდათ.

ქალაქის მოურავს არც დღე სძინავს, არც ღამე.

მოსკოვში ეხლა კრებაა ქალაქების მოურავებისა.

ჩვენი ქალაქის მოურავიც მიიწვიეს. მოსკოვში გაგონილი აქვთ ხატისოვი დიდი მჭერმეტყველი კაცია, ლაპარაკი ძლიერ ეხერხებაო და დიდის თხოვნითა სთხოვეს – მობძანდი მოსკოვში და შენი ტკბილი რეჩები გაგვაგონეო.

ვერ მივართვი ხატისოვი მოსკოვს. „რას ბძანებთო, შეუთვალა, აქ იმდენი საქმე მაქვს, იმდენი, რომ ტფილისს თავს ვერ დავანებებო.

მართალია, ომიანობის გამო ერთი საქმე ჩამოგვშორდა—პოლიტეხნიკუმის დაარსება ჯერ-ჯერობით გადავდეთ ომის დასრულებამდე, მაგრამ საქმე მაინც ბევრია—ქალაქს პატრონობა და ბატონობა უნდა.

ასე გასინჯეთ, რომ ხმოსნების არჩევანებისთვისაც არა გვცალიან. ან რა საჭიროა ეხლა ხმოსნების არჩევნები. განა ეხლანდელი ხმოსნები ცუდად უვლიან ქალაქსა. ხმოსნები რომ ავირჩიოთ, იქნება თავიანთი მხრით ხმოსნებმა სხვა მოურავი აირჩიონ, სხვა წევრები გამგეობისა, სხვა მდივნები...

ერა, ისევ შეჩვეული ჭირი არ ურჩევნიან ქალაქსა?

ან სად ვიშოვით მეორე მჭევრმეტყველ ხატისოვს, ან სხვა არღუთინსკებს...

არღუთინსკები თვით ბედმა არგუნა თფილისს ქალაქის გამგეობის წევრებათ და მათი გამოცვლა ქალაქს დაღუპავს.

მართალია, ომის დროს ზოგიერთ სარდალსა სცვლიან, თუ კარგი არ გამოდგა, მაგრამ ქალაქის მოურავი და გამგეობის წევრები ხომ სარდლები არ არიან, მტერს არ ებრძვიან და მაშასადამე ვერავის ვერაფერს დაუშავებენ.

ან რა საჭაროა ომის გათავებამდე ხმოსნების არჩევა. ომი ხომ მეორეთ მოსვლამდე არ გაგრძელდება... ვსთქვათ, ორიოდე წელს კიდევ გაგრძელდეს ომი, ან ოთხიოდე წელს. რა დიდი საქმეა...

არჩევნის გადადებას ომის გათავებამდე დასტური დართო თვით „კავკაზსკოე სლოვომ“. ეს გაზეთი ბძანებს—ეხლა არჩევნების დრო არ არისო. დაე დარჩნენ ძველი ხმოსნები, ძველი მოურავი და ძველი გამგეობაო.

მათი მოღვაწეობა და მოქმედება არც იმაზე

კარგი იქნება, რაც ოთხი წლის განმავლობაში იყო და არც იმაზე ცუდია.

ამიტომ არჩევნები უნდა გადაიდოსო. კარგი საბუთია, მე და ჩემმა ღმერთმა. არა, სულაც რომ აღარ მოხდეს არასოდეს არჩევნები, რა დაშავდება?

ხმოსანი ეშმაკი.



მესტვირული

(ჯრეული ფიქრები)

ბრძოლის ველზე ვარ, გარშემო
მტერი მყავს შემოსეული;
თუმცა ბევრს ვხოცავ, მაგრამ,
მაინც ბევრია წყეული.
ჯერ მაგრათა სდგას კიდევა,
სჩანს რომ ხელს უწყობს გრძნეული;
ვერ ვიტყვით საბოლოოთა,
თუ ვინ იქნება ძლეული.
ხან თხრილებიდან ვსროლილობთ,—
იხევა ყოფნის რვეული;
ხან მივესევით პირის-პირ
ხელ და ხელ გადარეული.
ზოგი აქ ცვივა, ზოგი იქ
თავ-გულ-მკერდ გადახეული;
სიკვდილი ცელ მომართული
ცხვირ წინა მიდგას წყეული;
მაგრამ მაინც მსურს დაეუკრა
(არ დგება გული ჩვეული)
დავაღიღინო სიმღერა
სიმწარით გამოწვეული.

—

დღეს ისეთი ხანა დადგა
მწუხარების, სიკვდილისა,
რომ არავის შეუძლია
ახსნას ბაგე სიცილისა.
არვინ ფიქრობს დაინახოს
მზის სხივები ხვალ დილისა
და მღვიძარეს ეშინია
მოსვენების და ძილისა.
იქნებ ძილში ჩასცეს მტერმა
ალესილი წვერი ხმლისა;
დღეს დრო არის კვნესა-ოხვრის,
მოთქმა—ვიშის, ტირილისა.

მაგრამ დრო ხომ ცვალებადობს,
ბრუნავს ჩარხი ჟამთა სვლისა;
ბნელს ნათელი ხოლმე სცვლისა.
და მეც მინდა მივღიღინო,
სურვილი მაქვს სიცილისა;
მსურს სიცილით რომ გავფანტო
შავი სახე სიკვდილისა.

—

მართალია დღეს ვილგელმი
დროს თავისად ათამაშებს,
მაგრამ ვიცით იგივე დრო
დიდხანს რომ არ აფარფაშებს
მომავალში მისთვის კარგი
არ რა მოაქვს ომს, მის ნაშვებს;
ვერ დაიტევს მიწა ამდენს
სისხლს უბრალო გამონაშვებს.—
აღვირ-ახსნილ მის სურვილებს
თავისუფლათ დღეს ანაშვებს
ხელს ჩაუჭერს მკაცრი ბედი,
აღარ მისცემს გზას გასაშვებს,
მე არ ვუკრთი მის სიმხეცეს
ჯოჯოხეთის კუჭით ნაშვებს, -
ჩემის ხელით ჩამოვაგლეჯ
ზე აბზეკილ მის ულვაშებს.—

—

კარგათ ვიცით ბონაპარტმა
თუ მოსკოვში რაცა ნახა;
შვა ზამთარში გააცხელა
და გაუშრა სიცხით ხახა,—
დამარცხდა და გაიპარა,
გაქრა, რაცა განიზრახა;
ცად ასული მისი ბედი
ჩამოვარდა, დაიმარხა...—
დღეს ვილგელმმა რუსეთისა
რომ საზღვრები გადმოლახა
და ვარშავის მან აღება
უეჭველად განიზრახა,—
მერე რაა? რომც აიღოს,
გაუშრება მასაც ხახა?

—

ავსტრიისა ბერი მეფე
გაჟღენთილი ბოროტ გრძნობით,
გაიტაცა ბრძოლის ნდომამ,
მიეკედლა ვილგელმს ძმობით.
გადმოლახა მან საზღვრები,
მიერია რუსეთს მტრობით,
დამარცხდა და იგლეჯს წვერებს,
სტირის, მოსთქვამს ბედის გმობით.—
ჯერ სად არის, აწი ნახოს
რომ დამრჩება კუჭის ხმობით.

ვაზაფხულზე ბუდაპეშტში
ფეხის ფეხზე გადაყრდნობით
დავსკუპდები სასახლეში,
გულ-დამტკბობი ქება—ხოტბით
აბა მაშვინ იყოყოჩოს
კაიზერის იმან ძმობით,
რუმინია, ბულგარეთი
რასა ფიქრობს განზე დგომით?
თითოს მაგრათ რომ ვუთაქებ,
თავს მოიხრის მეგობრობით...

—

ტკბილი არის ოცნებობა,
ლექსი მოდის მეტად გრძელად—
დღეს დროება შეიცვალა
უფრო ცხარედ, უფრო მწველად.
ოსმალეთიც ადგა ჩვენზე
დასარბევად, დასაწველად,
სურს ისევე გაგვახსენოს
რაც ყოფილა ჩვენში ძველად.
თბილისი სურს ვაჯბატონსა
ბინძურ ფეხის მოსართხმელად;
ოსმალეთი თვის დაღუპვას,
დაბზობის დღეს ადრე ნახავს;
სხვისი რომ სურს დასაპყრობათ,
ვერც თავისას შეინახავს...

—

და სულ ადრე გაიგონებთ,
რომ თათრები დაძლეულა,
არზუმიდან ის ძუნძულით
სტამბოლისკენ გაქცეულა
და სტამბოლიც ჩვენის ჯარით
დაპყრობილა, დაქცეულა;
ოსმალეთი ვერც ადგება,
ისე მაგრათ წაქცეულა;
ჩვენს მტრებსა რომ არ ექნება
წამოდგომის ძალა—ღონე,—
მხოლოთ მაშინ გამიხსენე
მხოლოდ მაშინ მომიგონე;
მანამდე კი...
დავიღალე,
ჩემი სტვირი განზე მივდე
და ვინ იცის რომ მეღირსოს
ხელთ აღება მისი კიდე;
მაგრამ დღეს კი ამ ღიღინით
გული მაინც დავიმშვიდე...—
მტერი მოდის და გვიბრძანებს
იერიშით წინ წავიდე.

ბერი ქედანი.

„მათრახის" შარჟები

ი. გრიშაშვილი.

ახალ-მოდნი მგოსანი ვარ
თვალ ტანადი სასიამო;
ვიცი როდის გამოვაწყო
ან დილა და ან საღამო.
ასე არ ვქნა, რით ვიცხოვრო,
რა ჩავიცვა, ან რა ვჭამო,
ან ვის უთხრა „უქანქაროთ"—
„გენაცვალე", „ტყეში წამო"?!

ნიორი.

სიტყვა

წარმოთქმული ბაკაკის დასაფლავებაზე ევგენი გეგეჭკორის მიერ.

მოქალაქენო! ამ საშინელ და დიდათ სერიოზულ დროს, როცა მსოფლიო გახვეულია ცეცხლის ალში, როცა ორი მხრით ჩვენ მტერი გვადგია და თვითეული ჩვენგანი მხოლოდ ღა ფიქრობს ბრძოლის ველზე გასულ შვილზე, ძმაზე და ნაცნობ მეგობარზე, როცა გლოვის ბნელ ზეწარით გადაფარებულია მთელი ჩვენი პაწია ქვეყანა, აი ამ დროს უცებ, რაღაც ჯადოსნური ძალით დაივიწყა ჩვენმა

ევგენი გეგეჭკორი.

ხალხმა ყველა ეს გაჭირვება, დაივიწყა ყველამ თავისი პირადი გლოვა და მიეცა განუზომელ მწუხარებას, შეიმოსა ძაძით ერთი პირის დაკარგვის გამო. ეს პირია თქვენ წინაშე მდებარე დიდებული ცხედარი, ჩვენი საყვარელი მგოსანი აკაკი. თქვენ უნდა გენახათ ის აუარებელი ხალხი, რომელნიც ხვდებოდენ ძვირფას ცხედარს მთელ ამ შორ გზაზე საჩხერიდან თფილისამდე და მუხლ მოდრეკით, დამწუხრებული სახით თაყვანსა სცემდენ წმინდა ნეშთს, უნდა გენახათ თვალცრემლიანი, აქვითინებული სოფლის მცხოვრებნი, რომ გეთქვათ: მოკვდა საქართველოს უდიდესი შვილი და ის წმინდა ცხედარს მოკრძალებით საუკუნო სამარემდის აცილებს მადლიერი ურიო. ეს იშვიათი სახალხო გლოვა არ არის გლოვა მოწყობილი მეთაურთა და ჯგუფთა მიერ წინდაწინ განზომილი; არა, ეს არის გლოვა სტიქიური, მასის სულის კვეთების შადრევანსავით ამოხეთქვა — შეუჩერებელი ბუნებრივი საერთო დამწუხრება. რაშია საქმე? როგორ დაიმსახურა ერთმა კაცმა ასეთი გულწრფელი სახალხო გლოვა? ასეთი დიდი, განუზომელი სიყვარული? რა იყო აკაკი ხალხისათვის და ხალხი აკაკისათვის?

მხოლოდ ორი მგოსანი მიუახლოვდა ყველაზე უფრო ახლო ქართველი ერის სულიერ განძს, მის შინაგან წმინდათა წმინდას, მის გრძნობებს და ნაციონალურ ტემპერამენტს. ისინი შევიდენ ნაციის უხილავ სალაროში, ჩაწვდენ მის სიღრმეს და გამოიტანეს იქიდან საუკეთესო მარგალიტები და შემდეგ ის გამშვენიერებულ გასპეტაკებული, საუცხოო მუსიკალურ პოეზიით გარდაქმნილი ხალხსავე უკან დაუბრუნეს და ციურ ჰანგებით გამოსჭედეს ეროვნული ორგანიზმით. ეს ორი მგოსანია რუსთაველი და აკაკი. საჭირო იყო რვა საუკუნე, რომ რუსთაველს მისცემოდა ღირსეული მემკვიდრე. თავისი მოტივებით, თავისი ჰანგებით ეს ორი მგოსანი განსხვავდებიან ისე, როგორც განსხვავდება მათი ეპოქა. აკაკი მეთორმეტე საუკუნეში იქნებოდა რუსთაველი, რუსთაველი მეცხრამეტე საუკუნეში იქნებოდა აკაკი. რა იყო აკაკის პოეზიის მთავარი ჰანგი? რის სამსახურათ გამოიყენა მან თავისი ზეციური ნიჭი? რას უგალობდა ის? აკაკი საზოგადო ასპარეზზე გამოვიდა სწორედ მაშინ, როდესაც ჩვენი მშრომელი ხალხი მონობის მძიმე უღლის ქვეშ გმინავდა და ისიც მთელი თავისი ძალ-ღონით ეკვეთა ამ საშინელ ბოროტებას. შემდეგ იმსხვრევა მონობის ჯაჭვი და ის ღვთაებრივ, სულის წარმტაც ჰანგებით უმღერს თავისუფალ გლეხის შვილს. ამ უკანასკნელში ის ხედავს იმ მცხოვრებელ ძალას, რომელმაც უნდა შეუცვალოს ძირიან ფესვიანად ელფერი ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას და გაუკაფოს ქართველ ხალხს ფართო გზა საკაცობრიო იდეალისკენ. თავისუფალი გლეხის შვილი ცოდნით აღჭურვილი, აი რა დაუდვა საფუძვლათ მის ღვთაებრივ პოეზიას. ახალმა ეპოქამ წარმოშვა ჩვენში საზოგადო დაწესებულებები: ბანკები, პრესა, თეატრი და ჩვენც ვხედავთ დიდებულ მგოსანს ცხოვრების ყველა დარგებში „დროების“ დემოკრატიულ ჯგუფის მებაირაღტრეთ. ის ებრძვის შეუპოვრად ყველა იმათ, ვინც ამეფებდა ზრუნვას ჩინ-ორდენებზე და პირადულ ინტერესებზე, მისი მწვავე და იმავე დროს ტკბილი სატირა მუსრს ავლებს და საშინელ არევ-დარევას იწვევს ქვემძროომ, ფლიდ „რუსეთუმეთა“ ბანაკში.

დგება ისტორიული ხანა 1905 წელი და ამოძრავებული ხალხი მიისწრაფვის თავისუფლებისაკენ და საყვარელი აკაკი აქაც იმავე დემოკრატ და ოპოზიციონერად ევლინება სამშობლო მხარეს. რადგან მას სწამდა, რომ წყალი ხორცს ჰბანს და სისხლი სულს. მოქალაქენო, ჩვენი უკვდავი აკაკი თავის უკვდავ ლექსებში უგალობდა თავისუფლებას როგორც თვითეულ პირს, ისე მთელ ერს; თავისუფალი ხალხი თავისუფალ სამშობლოში, აი მისი დროშა. მხოლოდ მისი ძლიერი სიმები არ ნაკლებ ჟღეროდენ სხვა დაჩაგრულ ერთათვის. ის იყო პატრიოტი ამ სიტყვის კეთილშობილური მნიშვნელობით. ერთა შორის თანასწორობა და ურთიერთ შორის სამართლიანი, მშვიდობიანი მეზობლობის დამყარება, ეს არის მისი ნაციონალური ჰანგების მთავარი სარჩული. დიდებული მგოსანი ბოლომდისინ შერჩა

„დროების“ დებულებას. „ერთად დგომით ავშენდებით, ცალ-ცალკე დგომით დავიქცევით“ და განა ეს საამდროვო ლოზუნგი არ არის? განა დღესაც ამ საერთო ქარტეხილის დროს არ გვჭირია ერთად დგომა და ერთმანერთის ხელის შეწყობა? განა კავკასიის ერები არ საჭიროებენ ძმურათ ხელის ჩაკიდებას და საერთო მტერთა წინააღმდეგ შებრძოლებას? დიახ, მოქალაქენო, ჩვენი სიამაყე აკაკი არ იყო მომხრე დაჩაგვრის და განადგურებისა და ეს დროშა არის იგივე დროშა კავკასიის ინტერნაციონალური დემოკრატიის. აკაკის გენიალურმა შემოქმედებამ, მისმა ღვთაებრივმა პოეზიამ დაუმტკიცა მთელ განათლებულ კაცობრიობას, რომ უკვდავია ერი, მისი წარმომშობი, რომ ქართველ ერს ჯერ არ უთქვამს უკასკნელი სიტყვა. მშრომელი ხალხის სახელით მუხლს ვიდრეკ შენი ცხედრის წინაშე და ვაცხადებთ, რომ ერთად ერთი მგოსანი უკანასკნელი საუკუნისა, რომელიც ღირსია საჯაროთ დაფნის გვირგვინით შემკობისა მსგავსათ ძველი საბერძნეთის გმირებისა, შენ ხარ ძვირფსო ჩვენო საყვარელო აკაკი.

სატრფოს

(ძველად ნ — ნას).

ნაზო, ნარნარო,
სხივ-მოკინარო,
შენ მხოლოდ წმიდავ,
ნამებრ ციმციმავ!..
შენა ხარ, შენა,
ზე-აღმაფრენა;
შენით ვსულდგმულობ,
როს შენა ბგულობ;
შენგან მაქვს შვება,
როს მტანჯს ვაება,
ოხვრა, ნაღველი,
ცეცხლი დამწველი;
ამდროს შენ გელი, —
შველას მოველი!..
ეს ქარიშხალიც,
ეს ცეცხლის ალიც,
დღეს რომ ძრწის მგლურად —
თვის უნებურად;
ნუ, ნუ ბგონია,
მონაგონია,
რომ გზა გაკაფოს
გეწვიო — სატრფოს...
ნაზო, ნარნარო,
ბაგე-მღიმარო,
მე შენ მოგელი
მომეცი ხელი!..

მიხ ნინოწმინდელი.

სურათზე

(უძღვნი სტ. ბ — ძეს)

რომ განამტკიცო კავშირი ძმური, —
სულ სხვა ჯაჭვია მისთვის დაწნული...
(რწმენა მაგარი, სიმართლე წრფელი, —
აი, ის ძალა არის რომელი...)
მაგრამ, ცხოვრება ტანჯული, მწარი,
რომ თვალწინ გედგას ეს სახსოვარი
მისთვის მოგიძღვენ, — რომ ამხანაგი,
აგრეთ ტანჯული, მედგარი, შმაგი
ამ სხვის სურათში თვისსაცა ნახავ
და შეუპოვრათ შესძახებ: — „ჩმახავ!..
ვერ მოგვატყუებ გველური ენით;
ვერც გაგვტეხ წელში მახვილით შენით...
კმარა. განშორდეს ცხოვრებას ცუდი!..
შორს, ბორკილებო! აწ განადგურდი!..

ს — ლი.

რუსეთის გაზეთები

რუსულ გაზეთში „კიევსკაია მისლ“ ვას. ჩაგოვეცი სწერს:

„ამ დღეებში გარდაიცვალა საქართველოს დიდებული მგოსანი. სწორედ საკვირველია, რა ძლიერ ცოტა სთქვეს ამ მგოსნის შესახებ რუსეთის გაზეთებმა. თითქოს მგოსანი ჩვენი დროის კაცი არ ყოფილიყოს, ეხლა არ ეცხოვროს ჩვენ შორის, თითქოს გარდაცვლილიყოს თანამედროვე მგოსანი კი არა, არამედ ლეგენდალური გომერი, რომლის შესახებ ცნობები მოიპოვება ენციკლოპედიაში...

ხომ კარგათ ვიცით, რომ მგოსანი იმ ხალხის სული და გულია, რომელთანაც მეზობლადა და მე გობრად ვცხოვრობთ მთელი საუკუნის განმავლობაში.

სამწუხაროდ, რუსეთი სრულებით არ იცნობს კავკასიას. კავკასია მისთვის კავკასიაა და მეტი არაფერი. მისი სახელის გარდა რუსმა არაფერი იცის.

— მარჯვნივ მიიხედავს რუსი, — რა ვიცი, რა საქაჯეთია, მარცხნივ — ეშმაკსაც წაუღია. შუაგულში კავკასიის მთებია.

რუსს ასე წარმოუდგენია კავკასიელი: ფაფახი ხურავს, ნაბადი ასხია, ხანჯალი არტყავს და თვალებიდგან ცეცხლს აფრქვევს.

მწვადი, ლეკური, ალავერდი...

რუსის მკითხველი გაოცებულია ხოლმე, როცა კავკასიის საქმეებზე ჩამოვარდება ლაპარაკი.

— რაო? სომხეთის ავტონომიაო — სომხეთიც კავკასიას ეკუთვნის? საქართველოს ეროვნებათა

შეერთება, ოსეთის აღორძინებაო - ნუ თუ ყველა ეს კავკასიელს შეეხება?

უკვირს რუსსა და ვერაფერი გაუგია. ასევეა ლიტერატურისა და პოლიტიკის შესახებაც.

ამიტომაც არ არის საკვირველი, რომ საქართველოს დიდებულ მამულიშვილისა და მგოსნის შესახებ გაზეთებმა მხოლოდ თბილისური ლა და ისიც დაძველებული ცნობა დაბეჭდეს ენციკლოპედიიდგან.

მართლა და ასეთი გულგრილობა რუსისა კავკასიის შესახებ სწორედ რომ გასაოცარია.

აბრა.

მეგობარს.

(თარგმანი)

სნეული სულის სიღრმიდან ოდეს
მომსკდარ გენიამ თვალთ დამიბნელოს;
ძმავ, ფრთხილად, გული არ დაგიღონდეს;
თუნდ ტანჯვას გრძნობდე თვით უსაშველოს...
ჩემს წამებასაც აქვს საყუდარი,
თვისი წესრიგის... თუ კი ინება,
სწრაფლ გამშორდება სევდათა ჯარი,
სულის დუმილში გაიყინება...

ირ. ტოფაძე.

ყურ მოკრული ამგავი

— ააა, კაი გამარჯობა ჩემს თომას, კაი, ხომ კარგათ ხარ, ჩემო თომა? მერწმუნე, ძაან გამეხარდა, რომ განახე; თითქმის წელიწადზე მეტია არ მინახავხარ და, შენ წარმოიდგინე, რამტელი ცვლილება მოგცემია ამ მცირე ხანის განმავლობაში. ერთი წელიწადიც კიდევ რომ არ მენახე, დაიჯერე, ვეღარ გიცნობდი!.. აბა, უყურე, თეთრიც კი გამოგრევია თმაში, რა დროს შენი, ჭაღარაა კაცო' ხედავ, მე რამტელი ხნით შენზე დიდი ვარ და ერთი ღერიც კი არ მირევია თმაში! .

— ეჰ, ჩემო ძმაო, თმაში თეთრი კი არა, თმა რომ თლათ გაცვენილი არა მქვს, არ გიკვირს ჩემი ცოლის გადამკიდეს?...

ეეჰ, შენ ხომ ქალების სამდურავი მუდამ იცოდი და კიდევ არ მოგიშლია!.

— მე მაშინ დავიშლი ქალებზე სამდურავის თქმას, რომ ისინი ყველა ომში გაეწვიათ...

— ქალები, თორემ შენ არაპირებ ომში წასვლას?

— ომში, ძმაო, ხუთი წელიწადია გაბმული ვარ და, მე მგონია, სიკვდილამდი ვერც გავათავებ ომს; ვერც დავიხსნი თავს ჩემი მოპირდაპირისაგან ვერაფერი გადასახადით; ვერაფერი კონტრიბუციის მიცემით და რიგით სხვა ომი აღარ მეკუთვნის...

— კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს' შენ ხუმრობას გაყევი და აღარ მაცალე დანარჩენი ანბავიც მეკითხა. შენი მეუღლე როგორ არის? გუშინ მითხრეს ძაან ავად არისო, ეს ორი დღეა ლოგინიდან არ ამდგარა - წევსო. მართალია?

— მართალია

— უჰ, ღმერთო მომკალი! თუძმახარ ბოდიში მომთხოვე იმასთან!.. კაცო, უბედურებაა ხომ ეს ჩვენი სამსახური: იმტელ დროს ვერ იშოვნი, რომ მიხვიდე ვისთანმე და ინახულო...

— არა, ძმაო, ნუ გგონია, რომ მაგგვარი გულშემატკივრობისთვის მადლიერი დაგრჩე...

— რატომ კაცო?

— იმიტომ რომ შენ ჩემი ორი დღის თავისუფლება შეგშურებია...

ჭიჭიკო.

სოლომონ ბრძენის რჩევა

(შაირი)

ბავშობისას სოლომონი
ცხენობანას თამაშობდა;
ცხენსა იჯდა უსხეულოს:
თავის დღეში კვიცს არ შობდა.
უფრო იყო შინდის კეტი,
იმისთვის კი რაშსა სჯობდა.
გარბოდა და გამორბოდა
თავის ჯირითს მით ამკობდა.

—

წინ გადუდგა ერთი კაცი,
სთხოვა, ბავშო, მომეც რჩევა.
ცოლის შერთვა განვიძრახე,
მასწავლეო მის არჩევა.
ქალწულს, ქვრივსა, ქმარ-განაშვებს
რა განსაზღვრავს, რით ირჩევა?
ამიხსენი შენსა გაზრდას
აგრემც ღმერთი შეგეწევა.

—

სოლომონმა უპასუხა:
შენს კითხვებზე მეცინება.
ნუ თუ შენ ვერ გაარკვიე
მაგა სამთა განსხვავება?
ქალწულს ითხოვ შენ იცოო
და თუ ქვრივსა--მისი ნება,
ქმარ გაშვებულს თუ შეირთავ,
იქით წადი, ცხენი ფრთხება.

—

ეს უთხრა და მათრახი ჰკრა
გააჭენა თვისი რაში.
რჩევის მთხოვი გააშტერა,
როგორც მოლა ჩასო ჩლაში.
ფიქრს მიეცა მოულოდნელს,
გადერია ფიქრის ზღვაში.
გამოერკვა და საცოლე
აირჩია ერთი სამში.

—

სოლომონის ეს პასუხი
დარიგებას უფრო ჰგავდა,
მას პირის-პირ არა ჰკადრა,
არ აწყინა არ გაავდა.
მათრახი ჰკრა ჯოხის ცხენსა;
აჩუ ცხენო, გაუჯავრდა.
აბა ჩემო მეგობარო,
სამში რომელს შეირთავდა?

—

გირჩევთ ყველა საცოლესა,
შეუდექით გამოკვლევას,
მხოლოდ კი არ გადუხვიოთ,
სოლომონის წმიდა რჩევას.
ვნებათ ღელვამ არ დაგძლიოთ,
თქვენ სცდილობდეთ მის დაძლევას.
ამა რჩევით მოიშორებთ
ცოლის შერთვით ბედის წევას.

ან განჯის-კარელი.

გურული სცენა.

შენი მტერი და ორგული შეწუხდა ისე, შენს დამაწყევარს და ავის მდომელს გადიერო ისე ძმარი გულზე, რავაც ჩვენ შევწუხდით და რავარც ჩვენ გადაგვერო ძმარი გულზე, რავაც კი შევიტყვეთ აკაკის სიკვდილი. ვითამ რავა არ შევწუხდებოდ თ და არ დავლონდებოდით! ვინ იყო იმისთანა განიჭებული და ღმერთ გამწყარალი გურიაში, რომ მისი სახელი არ ქონოდა გაგებული და იგი არ სცოდნოდა, ვინ იყო აკაკი. უმისოთ მე შენ გეტყვი და ტირილი ვარგოდა თუ ქორწილი ჩეგური თუ გიტარა. დღეი და ღამე, ძილში და ღვიძილში სიზმარში და ცხადში, გლეხისას და აზნაურისას, ყოლთვინ, ყველგან და ყველას აკაკი ეკერა პირზე. მოგეწონებოდა ლექსი, გადაგფერავდა გულზე, მიგანაბიებდა თვალებს, გამოგაცქვეტიებდა ყურებს, დაგაფჩენიებდა პირს, გადაგახალისებდა, ერთს ყურს მოკრავდი და ზეპირად იცოდი, ასიგზობა გეიგონებდი და ღმერთო ათასიგზობა კიდევ გამაგონეო იტყოდი, რომ არ მოგწყინდებოდა, დამწერს დალოცავდი და გენაცვალე ყიაშიო წამეიკრიმანჭულებდი, ამფერი იყო აკაკის ლექსები და ამფერი ღვთის ნიერი და ცათა სტორი კაცი გადიეღო ქვეყანას და რავა ფიქრობთ არ მოგვეჭეჭკებოდა გული? გვეწყინა მარა პაწეი კი არ გვეწყინა, მარა რას იზამ რასაც ვერ მიერევი იმას რომ ეჭედო, აბდალაი იქნები... მევიყარეთ თავი ძველებურა და არც თლა ძველებურა ასე აგერ გუშხამა, ასე ქვია ამ ათი წლის წინათ რომ ვიცოდით, მევიყარეთ თავი, ევირჩიეთ თავმჯდომარე და დაუსვით საკითხი რაფერ გვეცა პატივი ქვეყნის მიცვალებულიზა და რა მონაწილეობა მიგვეღო მის დამარხვაში. ვილაპარაკეთ, ვიმსჯელეთ, ვიკამათეთ და გამოვარკვიეთ, რომ ჩვენც გურიის გლეხობამაც უნდა გავგზავნოთ დელეგატი და ჩვენი სახელით იქინეი ამან სიტყვა უნდა თქვას... კიდევ კაი დეილოცა ახალი დროი თვარა ძველი დროი რომ ყოფილიყო, აკაკის დამარხვაზე მარტუაი გურიიდან მუუვიდოდა ერთი სამი ათასი მოზარე, მისი წასაბურავი და მისი შესაწიერი და ახლა მთელმა გურიამ ერთი დელეგატი გავაგზავნეთ და არც მოზარე უნდა, არც ხელში ჩამკიდე, არც ჩამკივლებელი და არც დამშვენებელიო... წამხთარ საქმეზე და ამ საშინელ სიმშილობაზე აგიც კაია, კაი დაგემართოს, მარა პაწეი იმის გაგონებაც ქე მიამა დელეგატი გავგზავნოთო რომ გადაწყტა, ვიფიქრე აგია აკაკი რომ სწერდა მოვესწრები რაც მინდოდაო, ვიფიქრე ცოცხალი ვერ მიესწრა მარა იგი დელეგატობა და დელეგატსკი პოეზდი დამარხვამდი მაინც ქე მიესწრა მეთქი, გამიხარდა, გული ამიცუნცრუკდა და დელეგატს რომ ირჩევდენ დამასახელეს. ქე დავიდგი მეც ყუთი, ვიფიქრე იქნება ჩემიც გამოსათავია და ერთს დელეგაცკი პოეზდით მაინც ჩავხრიგინდები თფილისში და რაცხას დამიმოწმებენ აგი მეზობლები იქინეი რავა ვერ ვიტყვი მეთქი... ჩავედი საჯავოხოში... ჩავჯედი პოეზდში, მარა უკაცრავად ჩავჯედი კი არა გავჩერდი ფეხზე რავაცხა, მთლად ამოშუშებული იყო ხალხით მთელი პოეზი, ვიფიქრე ყველაი დელეგატია მეთქი და ქე მეწყინა გურიას რეიზა აჯობა სხვა კუთხემ მეთქი... ჩამეიარა კონდუქტორი და მეითხოვა ბილეთი. რა ბილეთი, რაის ბილეთი, მე დელეგატი ვარ მეთქი... რა გამასხრებს ამ ხნის კაცსო მითხრა, ხომ არ ვინდა ჯანდარს დუუძახოო. ერთი სიტყვით არ გევიდა ჩემი მასთან აფერი და ვიკადრე სამტრედიაში ბილეთის აღება...ჩამეეედი თფილისში მარა რა ჩამეეედი. ძალიანი დიდი ჯარი იყო... ამისანაი ტირილის მომსრე არ ვარ ჯერე. კიდევ კაი რომ ახალი დროია და კაცის დამარხვაზე აღარც სასმელი იციან და აღარც საჭმელი თვარა ყველაიზა რომ საჭმელი ეჭმიენ ყველაი წერეთლების სოულობა არ

გააძღებდა ამ სერესკელს...გამევიდა წირვა გამუა-სვენეს...დაასვენეს სულცხონებული დიდ მიედანზე აქანაი ახლა გამოსათხოვარი სიტყვები უნდა უთხრა-ნო... ევიბუძგე, მევიშალე კონდახში. აქანაი სიტ-ყვის თქმაი კი არ დარჩა თლა ადვილი, მე გვიმრა-ლაში და დობირაში ვიყავი კაი ორატორი, რომ შევდგებოდი ჯიკვზე ჩემს მეზებლებში თვარა აქანაი ქვეყანა იყო და მე რაფერ გავბედავდი, მარა რომ არ მეთქვა გურიაში ვერ ჩავიდოდი მოდალატეს და-მიძახებდენ...ამიზა ქე ვითხუე მეც... გეკიდა უწინ ნიკოლაძე, ილაპარაკა რაცხა, მარა ფუჩუნობდა და ვეფერი გეკიგონე, ილაპარაკა მერე ჩვენი დეპუტა-ტი რომ იყო გეგეჭკორი. მოვჭამე ჭირი ყარყანტო-ში, ყორიფელი კაი ოქვა მარა ზოქალაქენოო რომ თქვა ამხანაგებოო არ დააყოლა არ ვიცი დაავიწყ-და და არ ვიცი არ გვიკადრა მარა რაცხა თქვა ისე კარგად თქვა, რომ ყველაი კაკლა კაკლათ გაგვაგო-ნა და პაწეი აგი სულ ცხონებული დროიც ქე გა-მახსენა... მერე იმან ილაპარაკა გეგეჭკორს რომ შიეცილა აწი მე ვიქნები დეპუტატათო, აბაშიძემ, ვერ წევიწყმენდ სულს იმანაც კაი ლამაზათ ილა-პარაკა მარა სად იმის რიხი ძმავ და სად ევგენის... კაი ამ ორმა ნადეპუტარმა და სადეპუტატომ რომ ილაპარეკეს ნამდვილი დეპუტატი ვიკითხე და მით-ხრეს იმას არ სცალიაო ტირილზე კი არა დუმაში ვერ წევიდაო, ვირებს და ჯორებს ყიდულობსო... მერე ილაპარაკეს თათარმა, სომეხმა, ურიამ და რა ვიცი ყველა რჯულის და ენის კაცმა, მეც ქე მე-ვითხოვე აწი მეც მათქმიეთ ჩემი სათქმელი გუ-რიის გლეხების მაგიერ მეთქი, მარა მქაჩეს ხელი და არ გამიშვეს ტრიბუნაზე... კმარა რაც ითქვაო, მე მქონდა ვექილობა და, მე ჩემი ვექილობა არე-კაცზე გადამიცია და ძალიანი მიკვირს და დიდ პროტესტსაც ვაცხადებ, რომ ნება არ მომცეს ჩემი სათქმელი მეც მეთქვა, მეც გული მემეოხებია და ჩემი ვალი მომეხადა... რა იქნა შე დალოცვილო გლახის აღაპი ხომ არაა რავა პოლიცია არ მიშლის და შენ მაზე ვარესი რაფერ გახდი... თუ ქუთეისის ქალაქის თავს მიეცით პოდრათათ ყველაის მაგიერი სალაპარაკო, იმან თუ ხუთ ადგილას და ხუთჯერ თქვა მე ერთი რეიზა არ მომიწია, მარა აფერია იქ-ნება ქე ჩამოხვიდეთ კიდევ გურიაში და ვინც ჩვენი პარტიის არ იქნებით, არც ჩვენ გალაპარაკებთ.

ტარხუნა.



დაბა-სოფლები:

საჯევახო. საჯევახოს სადგურის „მოხელეებს“ და „ტვირთ მძიმე“ მუშებ შორის „დიდი სოლი-დარობა და კავშირი“ დაარსდა. წარსულ შემოდგო-მაზედ ასეთმა კავშირმა „აკუპაცია“ უყო ერთ ჯიუტ მუშას გვარად გოგიტოურს,—რადგან ხსენებული მუშა „კავშირისათვის“ „არასაიმედო“ გამოდგა.

— აქაურ ზოგიერთ მოვაჭრეებს ერთხმათ გა-დაუწყვეტიათ, რომ „სამკითხველოში“ ფეხი არ შედგან, რადგან ომის საშინელი ამბებით შეიძლება ყველას „ნერვები“ აეშალოს. სამაგიეროო „ჩერეზ ტიომნი“ და „კარტ-ნარტ-კამათლები“ ძალიან „ხოდ-შია“, და ზოგიერთი ვაჟბატონები ტვინს ამით ავარ-ჯიშებენ.—ყველა ამეებთან ვაჭრებს გადაუწყვეტია, რომ სავაჭრო ნივთებს ფასი ერთი ხუთათ აუწიონ და ასე დამშეულ სოფლელებს თანაგრძნობა გაუ-წიონ.

— საჯევახოს ბანკის გამგეობას და საბჭოს გა-დაწყვეტილი ქონდა, რომ ომში დაჭრილთათვის საჯევახოში $1^1/_2$ საზოლი მაინც მოეწყო. ამ მიზნით გახსნეს კასა, მაგრამ შიგ ერთი შაურიც არ აღმოჩნ-და. ჯერ-ჯერობით ვერაფერი გაიგეს—სად გაიფლან-გა ბანკის ფულები.

— თითქმის ყველა მახლობელ საზოგადოებებ-ში წვრილ-წვრილად და მსხვილ-მსხვილად საზოგა-დოებისგან აკრეფილი ფულები „შეუყლინწავსთ“ „ვიღაცას“. ამ „ვიღაცეებს“ ეძებს ხალხი, მარა ჯერ დანამდვილებით ვერ მიაგნეს. ზოგი „მოსე მწერ-ლებს“ აბრალებს და ზოგიც „აღვირ-წახსნილ მამა-სახლისებს„. განზრახვა აქვთ ადგილობრივ ადმინის-ტრაციას ყოჩაღი კომისიები აარჩევიონ.

ჯოჯოხეთელი.

—

სამტრედია. თუ რომ ვიცოდე, რა ხდება
ამ ჩვენ კურთხეულ დაბასა,
ვინ რას მოქმედობს, რას ეტრფის,
ან თუ ქალები—კაბასა
რავას იკერვენ,—რა გვარად,
ანუ როგორი ფერისა...
თუ შეიძლება ვიცოდე
აღწერა ყველაფერისა.
რა უნაკლულოდ აგიწერთ,
რომ გამოვიდეს მთლიანად.
დასაგმობ-მოსაწონარი
განსაჯოთ სამართლიანად.
მაგრამ, ვაი თუ გამიწყრენ,
მოხუცსა მცემონ ჯოხითა,

ვეცი, რომ იმათ არ მოსწონს
მე რომ დავდივარ ჩოხითა.
  არც მე მცალია, არც იმათ
კლუბში არიან წასული,
ბევრი დაძვრება ამათში
ვითა სატანა, ავ-სული.
  უსაქმურობა, ჭორობა
შეადგენს ამათ საზრდოსა!
ქება-დიდება, ვინაც რომ
ასეთი შვილი ზარდოსა.
  ქალების შესაფერისად
გვეზრდება ყმაწვილ — კაცობა
რომ ლომ-ფეფხვობენ, უფრო კი
შაეფერებათ ვაცობა.
  მშობლები მეცადინობენ
რომ გაუნათლონ გონება,
ვალს ღებულობენ, იღვწვიან.
არა შურთ მათთვის ქონება,
  მაგრამ ესენი სხვა-გვარად
უსტვენენ — ყმაწვილთ წესია!
ვერ მოარჯულებს მაგათა,
თუმც რომ მოვიდეს მესია.
  თამბაქოს წევა, სიმთვრალე,
ყოფა-ქცევითა მრუდობა,
ჩხუბი და აყალ-მაყალი,
ღრჯენა, ქალებში მრუშობა.
  ხან და ხან უნდა გაუწყოთ
ამათი ქცევა - გმირობა.
მშობლებთან ერთად დღეიდან
დავდევით ესე პირობა.

ლამი-ვარ.

დ ე ვ ე ბ ი

(„მათრახის“ სეკუთარ კორესპონდენტებისგან).

ჩენსტოხოვო. გერმანელებმა პოლონეთის ტახტზე დასვეს ერცგერცოგი სტეფანე. საოცარია სწორედ გერმანელების საქციელი: პოლონეთს ანადგურებენ და გაოხრებულ ქვეყანას მეფეს უნიშნავენ.

ვარშავა. 9 იანვარს დილის 9 საათზე გერმანელები ვარშავისაკენ მოდიოდნენ.

9 იანვარს საღამოს 9 საათზე გერმანელებმა დაიხიეს.

პარიზი. პარიზელმა ქალებმა ახალი მოდა შემოიღეს: შლიაპის მაგიერად იხურავენ აფიცრის ქუდს — კასკას. მარაოს მაგიერად ხელში დამპაჩა უკავიათ. ტუფლების მაგიერად დეზებიან წაღებს იცვამენ. პარიზელებს ეს მოდა არ მოსწონთ. ნემეცები გიჟდებიან ეხლა პარიზელ ქალების სიყვარულით. ამბობენ, ახალი მოდა ქალებს ძლიერ უხდებათო.

ლონდონი. ინგლისელები ძლიერა ჯავრობენ: როგორ გაგვიბედეს ნემეცების ცეპელინებმა და ჰაეროპლანებმა ჩვენზე იერიშით მოსვლაო და შეუკვეთეს ვილჰელმს — ეგ რაღაც მანქანებია, უკან დაბრუნე, თორემ შავ დღეს დაგაყენებთ — ამერიკასთან გიჩივლებთო.

ბუჰარესტი. რუმინია ეუბნება იტალიასა, საბერძნეთსა და ბულგარიას: შენც — სუ, მეც — სუ და ისიც — სუ! ნამდვილი ნეიტრალიტეტი ეს არის.

ათინა. საფრანგეთისა და ინგლისის გემებმა დარდანელის სრუტე დაიკავეს და დღეს თუ ხვალ სტამბოლში შეკლენ.

ლონდონი. ბურუსის გამო ვერც ერთი ჩვენი გემი დარდანელლის სრუტეში ვერ შევა.

ტოკიო. იაპონიამ ჩინელებს შეუთვალა - თქვენი სახელმწიფო გვჭირდება და დაგვიცალეთო.

პეკინი. ჩინეთმა ჯერ შეუთვალა იაპონიას — ბატონი ბძანდებიო, მაგრამ მერე ივარა ჩვენ სადღა წავიდეთო და შეუთვალა იაპონიას ჩვენ ვერსად წავალთ და თუ გული გერჩის შენ თითონ მობძანდიო. ომი ჩინეთისა და იაპონიას შორის აუცილებელია. გერმანიას ეს ძლიერ უხარია. ამერიკას სწყინს.

ტოკიო ჩვენა და ჩინეთი ერთმანერთში კარგად მოვეწყობით. ომი არ მოხდება. გერმანიას სწყინს. ამერიკას უხარია.

არზრუმი. აქ ენვარ ფაშის ბძანება მოვიდა - ჯარი არდაგანზე და ახალქალაქზე ტფილისში წავიდესო — ძლიერ საჭიროა ამ ქალაქის აღებაო. არზრუმის უფროსი ძლიერ შეწუხდა. აქ ჯარი არ არისო და ვინ უნდა წავიდეს ტფოლისში ასე მისწერა ენვერ ფაშას — ჯარი არა მყავს და გამომიგზავნეო. ენვერმა უპასუხა: ჯარი არც აქ არისო. მარტოკა ჩადი ტფილისში და თუ ქალაქის აღება ვერ მოახერხე, უკან ნუ წამოხვალო.

თავრიზი. ძაღლი პატრონს ვეღარ ცნობილობს თავრიზში. ზოგი ამბობს თავრიზი რუსისაო, ზოგი გაიძახის სპარსეთისაო, ზოგი ამბობს ოსმალეთისაო და ზოგიც — დაიცათ, ინგლისელები მოვლენ და თავრიზს დაეპატრონებიანო.

სოხუმი. დალოცვილი პატარა ნიკო (თავდგირიძე) გვპირდებოდა სოხუმში რკინის გზას გამოვიყვანო და ეხლა არც რკინის გზა გახლავთ და აღარც გემები მოდის. ვართ ზღვის პირას მომწყვდე-

ულნი, ნიკოს ისევ უნდა ქალაქის მოურავობა და გვპირდება ნურც რკინის გზა გინდათ და ნურც გემები. ჰაეროპლანებს და ცეპელინებს გიყიდითო.

ბახმარო. აქ მოვიდა თავისი ახალი ჰაეროპლანით ცნობილი მფრინავი ქებურია. ორიოდე ვერსის მანძილი უკლდა ბახმაროამდე, მაგრამ მოტორმა უღალატა და ჰაეროპლანი ჩამოვარდა და დაიმსხვრა. ქებურია უვნებლად გადარჩა, ცხვირი კი აქვს გაკაწრული. შეუდგა ახალ ჰაეროპლანის გაკეთებას. აქედგან ქებურია პირდაპირ ამერიკაში აპირობს გადაფრენას ახალი მანქანით.

ქუთაისი ქალაქის გამგეობა გვპირდება, ომი რომ გათავდება, აბა მაშინ გვიყურეთო. ერთ კვირაზე გაგიკეთებთ ტრამვაისა, კანალიზაციას, წყლის სადენ მილებსა და მთელ ქუთაისს ელექტრონით გავანათებო. ქუთათურები ამ ამბით ძლიერ არიან გახარებულნი. გამგეობის წევრი სიმონ ქვარიანი არა ცხრება, ემდურის ქალაქის მოურავს ჩიქოვანს, ეჩხუბება და ხალხს ეუბნება—არაფერი დაუჯეროთ ჩიქოვანს—უჩემოთ ვერაფერს გააკეთებს და მე კი არაფრის გაკეთება არ მსურსო.

ჭიათურა. აქ სასიამოვნო ამბავი მოვიდა: ორი წლის შემდეგ მთელ ქვეყანას ტყვია-წამალი და ყუმბარები დაელევა. მართალია, ხალხიც გაწყდება, მაგრამ მოზარდი თაობა წამოგვეწევა, ჯარში წაიყვანენ და რადგანაც უეჭველია, რომ ტყვია წამალი და ყუმბარები ჯარის კაცებზე უფრო ადრევე დაილევა, ამიტომ კვლავ იქნება მოთხოვნილება შავქვაზეო და ვინც ომს ცოცხალი გადურჩება ორი წლის შემდეგ—ჭიათურაში სამუშაოს იშოვნის და ერთ ლუკმა პურს ეღირსებაო.

შორაპანი. აქ ამბავი მოვიდა - ჭიათურელი ექსპორტერები ავგერინოები ამ ჟამად ბრაზილიაში არიან და შავი ქვის გატანა უნდათ იქიდან ევროპაშიო. ბრაზილიელებმა ამხანაგ მუშებისგან მიიღეს ცნობა ავგერინოების გაიძვერაობისა და უნდათ ამერიკიდან გამოისტუმრონ ეტაფით.

(ჯორაძის საჯენტო)

სენაკი. „სუდენი პრისთავის“ მოადგილე თ—რიამ სისხლის სამართლის წესით საჩივარი აღძრა ეგნატე ხარებავას შესახებ იმდენი ვცემე, რომ 15 დღეს ხელის მოწერას ვერ ვახერხებდიო.

ხარებავაც თავის მხრით უჩივა თ—რიას ცალი თვალის დაზიანებას და გვერდების გასიებას.

ოზურგეთი. თვით-მმართველობა აცხადებს, რომ მან აკაკის დასაფლავებაზე დაკარგა დელეგატი და...

იქიდანვე. აფთიაქის პროვიზორ-გამგის ადგილი ორმა ითხოვა, ერთი ნამლვილი ქართველია, მეორე კი როგორც თვით აცხადებს Грузинъ-мингрелецъ-ია საბჭოში დიდი კამათია, არ იციან უპირატესობა რომელს მისცენ. იმას, რომელსაც ორას ადგილას მიუღია პრაქტიკა თუ იმას, ვინც კრუხივით ერთ ადგილას მჯდარა.

ხიდის თავი (გურია) საკენკი რომ არ იყოს გამოლეული, წელს უსათუოდ ბევრ ქათმებს გამოვზრდიდით, რადგანაც . . . . . .
(ვერ გავარჩიეთ)

ბახვი. კომისიას ჯერ თავისი შრომა არ დაუმთავრებია, რადგანაც საჭირო დარჩა ბებია ქალების დაკითხვა და ექსპერტების მოწვევა.

ჯუმათი. (სადგური) ბათუმში მომუშავე დელიყანდები ეძებენ მეკურტ ე მუშებს, რადგანაც აჭარაში ნადავლს რკინის გზა არ ღებულობს...გადმოტანა სამესამედოთ ესე იგი ვინც სამ ტაშტს წამოიღებს ერთი გადმომტანის იქნება.

ღანჩხუთი. გლოვა და ტირილი, ტირილი და გლოვა. ან კი როგორ არ ვიტიროთ, რა ეშველება ამდენ გასათხოვ და გათხოვილ ქალებს არ ვიცით მშიერთათვის სიმინდი გამოვიწეროთ თუ ქალებისათვის ქმრების მოადგილე.

ბალაჯარა აქაურ „კარტ-ბაკარისტებს“ მოსწყინდათ კარტით თამაში და კულტურულ საქმეს მოჰკიდეს ხელი. აარსებენ ახალ სცენის მოყვარეთა ჯგუფს, ძველის წინააღმდეგ. შემოსავალი მოხმარდება „ბაკარაში“ დაზარალებულთ.

ეშმაკის მოციქული.

ზუგდიდი. დ. ანაკლიიდან ფილუკების ჩამოტანის შემდეგ ქუჩაში მოძრაობა გაჩაღდა. მიმოსვლა უფასოა. აუარებელი სამადლობელი წერილი მოსდით.

ახალ-სენაკი. ნოქრებმა ერთხმად დაადგინეს: დუქნები იღებოდეს და იკეტებოდეს ნორმალურ წესით: იღებოდეს დილის 5 საათზე, იკეტებოდეს საღამოს 12 საათზე. გაფიცვა ჯერ-ჯერობით სასურველად მიდის. მათ წინააღმდეგ სასტიკი ზომებია მიღებული.

იქიდანვე. ექიმი ადამია „ყვავილის“ შიშით ქუჩაში აღარ გამოდის.

პროვინციელი ჭინკა.



Ქ 158
1915 | 2

გამოცანა

(ჯურუყველთებს)

წინად იყო სოფლის მამა.
მთლად მუხურო გადაჭამა,
იმის მუცელს ვერ აძღებდა –
ვერც არჩივი, ვერცა დრამა!
გაშიმშილი დადიოდა,
და შეეროდა „ჩარი-რამა“,
მაგრამ ვიღაც „უსამართლომ“
წაამკალა, წაა შხამა.

—

აღარ შერჩა საქმე ავი –
დადის პანღურ ანაკრავი,
მაგრამ ისე გაიძვერობს,
გეგონებათ იყოს კრავი!

ისევ უნდა ძველებურათ –
მოსათალი, გასახრავი!
სიზმარშიაც ელანდება
საკურთხი და საწირავი.

—

– ამ მიზნისთვის ქორწილი ქნა
(ქალიშვილი გაათხუა),
სიძე ადგილს ჰპირდებოდა,
მაგრამ მანაც მოატყუა!

მელა მოძღვრად არ ივარგებს
ვის აღა აქვს ამის ჭკუა?!.
იგი უნდა წანწალებდეს —
ქვეყნად სამართალი თუა.

წკიპარტი.

ოსმალეთში



ფაშა. ცუდათ მიდის ჩვენი საქმე, სულთანო! დარდანელს დაუშინეს.
სულთანი. ვაი ჩემს დღეს, სად დავიმალო.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან. რედაქტორ-გამომცემელი თ. ბოლქვაძე.